ტენდერი „დიპლომატ ჯორჯიას“ საპროექტო სამუშაოები

№

ტენდერის აღწერილობა

"დიპლომატი" საერთაშორისო სადისტრიბუციო კომპანიაა, რომელიც წარმოადგენს მსოფლიოს პრემიუმ კლასის კომპანიების წამყვან ბრენდებს მსოფლიოს ხუთ ქვეყანაში. დიპლომატი საქართველოში საქმიანობას ეწევა 2008 წლიდან და წარმოადგენს ქვეყანაში წამყვან სადისტრიბუციო კომპანიას, რომელიც ახორციელებს საერთაშორისო კომპანიების P&G-ის და Nestle-ს სამომხმარებლო და კვების პროდუქტების დისტრიბუციას საქართველოში.

შპს „დიპლომატ ჯორჯია“ აცხადებს ტენდერს სამ ლოტად:

- ცენტრალური ოფისის ტერიტორიაზე არსებული სასაწყობე შენობის მიშენების საპროქტო სამუშაოების შესახებ (ქ.თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის 1 შეს. N10).
- დასავლეთის სასაწყობე შენობის მიშენების საპროექტო სამუშაოების შესახებ (ქ. სამტრედია; გ.ფანჯიკიძის ქ.6 -ის მიმდებარედ)
- ავტოსადგომის ტერიტორიის მოწყობის ნებართვა (ქ.თბილისი, თენგიზ ჩანტლაძის 1 შეს. N10 მიმდებარედ).

მონაწილის მხრიდან წარმოსადგენი ინფორმაცია:

- კომპანიის რეკვიზიტები (სრული დასახელება, ს/კ, ელ.ფოსტა და ტელ. ნომერი).
- კომერციული წინადადება
- ფასების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი). ფასები უნდა მოიცავდეს ამ კონკურსით გათვალისწინებულ ყველა ხარჯსა და კანონით გათვალისწინებულ გადასახადებს (მათ შორის დღგ).
- ბოლო 3 წლის განმავლობაში ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (სასურველია მინ. 5 პროექტი).
- მინიმუმ 3 სარეკომენდაციო წერილი.
- მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენისათვის საჭირო ყველა დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხიდლოთ თანდართულ ფაილებში.
- ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს მითითებული ვადის ამოწურვამდე, ელექტრონულად ტენდერების ვებ გვერდზე www.Tenders.ge
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი წინადადება ძალაში უნდა იყოს წინადადებების მიღების თარიღიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

<u>შენიშვნა:</u> წინადადების წარდგენის მომენტისთვის პრეტენდენტი არ უნდა იყოს გაკოტრების პროცესში, ლიკვიდაციის პროცესში და საქმიანობის დროებით შეჩერების მდგომარეობაში.

<u>სატენდერო პროცედურები და ვადები:</u>

- წინადადების მიწოდების საბოლოო ვადაა **2021 წლის 25 თებერვალი 17:00 საათი.**
- სატენდერო პერიოდის დასრულების შემდეგ მოხდება ყველა იმ კომპანიის განაცხადის განხილვა, რომელიც სრულყოფილად წარმოადგენს სატენდერო წინადადებაში მოცემულ ყველა საჭირო დოკუმენტაციას. სამშენებლო კომპანიის შერჩევა და გამარჯვებულად გამოვლენა მოხდება წარმოდგენილი ფასის, გამოცდილებისა და კვალიფიკაციის შესაბამისად.
- მონაწილის მიერ წარმოდგენილი არასწორი ან არასრულყოფილი წინადადება არ განიხილება.
- ყველა სრულყოფილად წარმოდგენილი წინადადებების განხილვა მოხდება შპს „დიპლომატ ჯორჯიას“ სატენდერო კომიტეტის მიერ, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს.
- შპს „დიპლომატ ჯორჯია“ უფლებას იტოვებს თვითონ შეცვალოს ტენდერის დასრულების ვადა, შეცვალოს კონკურსის პირობები, ან შეწყვიტოს მისი მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე.

<u>საკონტაქტო ინფორმაცია:</u>

შესყიდვების სპეციალისტი:

საკონტაქტო პირი: თამარ იმერლიშვილი

ელ. ფოსტა: T.imerlishvili@diplomat.ge

ტელ: +995 571 77 22 11

ადმინისტრაციის სუპერვაიზერი:

საკონტაქტო პირი: ივიკო გერგიძე

ელ. ფოსტა: I.gergidze@diplomat.ge

ტელ: +995 577 577 40 83 86

შესყიდვების მენეჯერი:

საკონტაქტო პირი: ბაკო ხაბურძანია

ელ. ფოსტა: B.khaburdzania@diplomat.ge

ტელ: +995 577 14 44 40